ხელშეკრულება №2/10

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

26 სექტემბერი 2016წ.

ერთის მხრივ, **სსიპ - #215 საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ალექსანდრე კეჩხოშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ინტელექტი"(** მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **მამული ლომთაძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების შეძენა (CPV 30190000)** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება 2,1. ხელშეკრულების საგნის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **218,20 (ორასთვრამეტი) 20 ლარს..**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან,შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს **5(ხუთი)** დღის ვადაში საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მისამართზე **ქ.თბილისი ვარკეთილის დასახლება**

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 28,09,16-დან----28,10,16-მდე**

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შპს "ინტელექტი"	**თბილისის №215 საჯარო სკოლა**
ს/კ 406027151	ს/კ — **226563368**
	მომსახურე ბანკი: **ლიბერთი ბანკი**
„ბანკი რესპუბლიკა "	ა.ნ. **GE48LB0115110221411000**
GE 31 BR0000010995051808	
დირექტორი: **/მ.ლომთაძე/**	სკ.დირექტორი: /ალ.კეჩხოშვილი/

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი **29 სექტემბერი 2016წ.**

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერებმა ერთის მხრივ სსიპ ქ. თბილისის №215 საჯარო სკოლის დირექტორმა **ალ.კეჩხოშვილმა** და მეორეს მხრივ **შპს "ინტელექტი"-ის დირექტორმა მამული ლომთაძემ** შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ **№2/19** ხელშეკრულებიის საფუძველზე **შპს "ინტელექტი"-ის დირექტორმა მამული ლომთაძემ** გადასცა სასაქონლო ზედნადებში ჩამოთვლილი საკანცელარიო საქონელი; ხოლო საჯარო სკოლის ტექნიკურმა მენეჯერმა **ნათელა ცაბაძემ ჩაიბარა საქონელი ; სასაქონლო ზედნადები N (02647210 61---), რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 218,20 (ორასთვრამეტი) 20 ლარს.**

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ჩვენს მიერ ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

მიმწოდებელი

შპს "ინტელექტი"

ს/კ 406027151

„ბანკი რესპუბლიკა "

GE 31 BR0000010995051808

დირექტორი: /მ.ლომთაძე/

შემსყიდველი

ქ. თბილისის №215 საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახ.
სკოლის ს/კ — 226563368
მომსახურე ბანკი: **ლიბერთი ბანკი**

ა.ნ. **GE48LB0115110221411000**

სკ.დირექტორი: /ალ. კეჩხოშვილი /

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0264721061

2	30/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:45:16

დრო (საათი, წუთი)

(დღგ ს გადამხდელი)

4	შპს ინტელექტი	406027151
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა	226563368
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი ქ.თბილისი თევდორე მღვდლის 13

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი ვარკეთილის დასახლება რუსთაველის შესახ 1

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	MCM847

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	01015012818 ზურაბ ლომთაძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ცარცი 10ც Dolphin 100314	00560	ცალი	100.0000	1.0000	100.0000
2	ცარცი ფერადი 10ც დოლპინი	03638	ცალი	20.0000	1.2000	24.0000
3	ჭიკარტი ფერადი 50ც	06696	ცალი	6.0000	0.5000	3.0000
4	ფაილი 33მკ (100ც)	05683	შეკვრა	2.0000	4.5000	9.0000
5	ფაილი ა-4 1-100 (100ც)	05718	ცალი	2.0000	3.0000	6.0000
6	ბაინდერი 554	04183	ცალი	4.0000	3.0000	12.0000
7	ანბანი ა-2 0790 (ქართული/ინგლისური/რუსული)	05541	ცალი	2.0000	0.8000	1.6000
8	დაფის მაგნიტი X-3008	07215	ცალი	10.0000	1.0000	10.0000
9	დაფის მარკერი ზლ-007	05791	ცალი	10.0000	0.5000	5.0000

13	218.2 - ორას თვრამეტი ლარი და ოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მოლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	30/09/2016	14:41:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 30/09/2016, 16:32:17

0264721061 სასაქონლო ზედნადების დანართი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
10	მარკერი ფატინის 12ფ 34260	06612	შეკვრა	1.0000	6.0000	6.0000
11	საქაღალდე 10ფ SY10AB	00675	ცალი	4.0000	1.5000	6.0000
12	სკოჩი 15მმ/30მ	02871	ცალი	20.0000	0.3000	6.0000
13	სკოჩი 40მ/მ/45მმ სუპერი 4540	02872	ცალი	5.0000	1.0000	5.0000
14	საწერი კალამი სელო ოფ-010	01289	ცალი	20.0000	0.2000	4.0000
15	საწერი კალამი DAX	06734	ცალი	10.0000	0.2000	2.0000
16	წებო მშრალი 40გრ GT-40	06535	ცალი	2.0000	0.7000	1.4000
17	წებო 9გრ. დლ-27001-1 5471	01486	ცალი	4.0000	0:3000	1.2000
18	წებო თხევადი 7001 70მლ	07036	ცალი	2.0000	0.5000	1.0000
19	ჩასანიშნი ფურცლები 400ც 22-075-9-40-11-12	07064	ცალი	2.0000	2.5000	5.0000
20	ჩასანისნი ფურცლები 76*76 400ც 22075-7	07062	ცალი	4.0000	2.5000	10.0000

13	218.2 - ორას თვრამეტი ლარი და ოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	30/09/2016	14:41:00

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 30/09/2016, 16:32:17